ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ14. 14250215**

თარიღი:**21/01/2025**

ევროკავშირის (INTERREG) შავი ზღვის აუზის ქვეყნების NEXT პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის (BSB00006, Green Urban Resilience) „მწვანე გადაწყვეტილებები კლიმატის ცვლილების ადაპტაციისთვის ჭკვიანი და მდგრადი ქალაქებისთვის BSB-ში“ (კონტრაქტი: MDLPA 148888/22.07.2024) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი თანამშრომლისათვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ და „ე.ვ.“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ევროკავშირის (INTERREG) შავი ზღვის აუზის ქვეყნების NEXT პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის (BSB00006, Green Urban Resilience) „მწვანე გადაწყვეტილებები კლიმატის ცვლილების ადაპტაციისთვის ჭკვიანი და მდგრადი ქალაქებისთვის BSB-ში“ (კონტრაქტი: MDLPA 148888/22.07.2024) მართვის მიზნით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შემდეგ თანამშრომლებს დაევალოთ:

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსს რუსუდან ჟოჟაძეს - პროექტის კოორდინატორის უფლებამოსილების განხორციელება, რაც მოიცავს პროექტის ფარგლებში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსახორციელებელი აქტივობების საერთო კოორდინაციას და შესრულების პროცესის წარმართვას, კომუნიკაციას პროექტის წამყვან პარტნიორთან - უზუნკოპრუს მუნიციპალიტეტთან (თურქეთის რესპუბლიკა) პროექტის პერიოდული ანგარიშების მომზადებას და ატვირთვას საგრანტო პროექტის ელექტრონულ სისტემაში (JEMS);

ბ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის მუნიციპალური პოლიტიკის დაგეგმვის, რისკების მართვის და

მონიტორინგის განყოფილების უფროსს ნინო ბეჟანიძეს - პროექტის ასისტენტის უფლებამოსილების განხორციელება, რაც გულისხმობს პროექტის დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების ორგანიზებას და კომუნიკაციის წარმოებას, პროექტის სხვადასხვა აქტივობების თაობაზე საინფორმაციო პროცესის განხორციელების უზრუნველყოფას, ანგარიშების მომზადების პროცესში მონაწილეობას;

გ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს ედნარ ნატარიძეს – ფინანსური კოორდინატორის უფლებამოსილების განხორციელება, რაც გულისხმობს პროექტის ფარგლებში ფინანსური დოკუმენტაციის შესაბამისობის უზრუნველყოფას ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნებთან, ფინანსური ანგარიშების მომზადებას;

დ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსს სპეციალისტს გელა ხალვაშს - ფინანსური ასისტენტის უფლებამოსილების განხორციელება, რაც გულისხმობს პროექტის ფარგლებში ფინანსური ანგარიშსწორების ღონისძიებების განხორციელებას.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2026 წლის 31 დეკემბრამდე.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი